ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 113
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი, ერეკლე მეორის გამზ. №1 21 დეკემბერი 2018 წელი

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „თელავის ისტორიული მუზეუმი“ (ს/ნ 231288068), შემდგომში - შემსყიდველი, წარმოდგენილი მუზეუმის დირექტორის გურამ ურჩუხიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თელავი ჯგუფი“ (ს/კ231289496), მისი დირექტორის სოსო გრემელაშვილის სახით, შედგომში - მიმწოდებელი, საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შეასახებ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5.„შესყიდვის ობიექტი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

2.1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): წარმოადგენს, ხელშეკრულების დანართი №1 -ით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, (საქონლის დასახელება, CPV კოდი, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია № 1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.2 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 118.39 (ასთვრამეტი ლარი და 39 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმის სახელმწიფობიუჯეტის სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი ანგარიშ/ფაქტურისა (სასაქონლო ზედნადებისა) და შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მოწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის გამვალობაში.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თელავი ერეკლე მე- გამზ. #1

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტები.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თელავის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაცია.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მოცულობის - რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ – თელავის ისტორიული მუზეუმი
(ს/ნ 231288068).
თელავი, ერეკლე მეორის გამზ.№1
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ხაზინის კოდი 708587213
Tel. 350 27 21 59
ელ. ფოსტა:
telavisistoriulimuzeumi@yahoo.com

მიმწოდებელი:

შპს „თელავი ჯგუფი"
(ს/ნ 231289496).
ქ. თელავი ალაზნის გამზ. #4.
ბანკი: სს „ თიბისი ბანკი",
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ანგარიში: GE73TB0993936020100005

გურამ ურჩუხიშვილი

ხელმოწერა: _____

სოსო გრემელაშვილი

ხელმოწერა: _____

დანართი № 1 ხელშეკრულების № 113 21.12 .2018 წ.საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილ ების ერთეული	cpv კოდი	2	ერთეული ს ფასი	ჯამი
17	ტუალეტის ქაღალდი	შეკვრა	33761000	2	35.6	71.2
	ტუალეტის ქაღალდი	შეკვრა	33761000	1	17.19	17.19
	ტუალეტის ქაღალდი	ცალი	33761000	60	0.5	30
					სულ:	118.39

სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი: გურამ ურჩუხიშვილი
ს/კ 231288068

შპს „თელავი ჯგუფი"
ს/კ 231289496
დირექტორი: სოსო გრემელაშვილი